თანამდებობის პირების მიერ მილებული საჩუქრები

2020 - 2022

სტატია მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - *ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და გამჭვირვალობის სტანდარტების გაზრდა* - ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.
სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები 6

თანამდებობის პირების მიერ მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები 9

მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები 15

დასკვნა 21

ძირითადი მიგნებები

- 2020-2022 წლებში აღმასრულებელის ხელისუფლების 394-მა თანამდებობის პირმა ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 27,8 მილიონ ლარს.

- 2020-2022 წლებში 18,6 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვს უშუალოდ დეკლარანტ თანამდებობის პირს, ხოლო 9,2 მილიონი ლარის საჩუქარი - მათი ოჯახის რომელიმე წევრს.

- თანამდებობის პირებმა საჩუქრების 90% (25.1 მლნ.) მიიღეს ოჯახის წევრებისგან/ახლო ნათესავებისგან, 8% (2.1 მლნ) ისეთი ნათესავებისგან რომელთაგან საჩუქრის მიღება შეზღუდულია კანონმდებლობით, ხოლო დანარჩენი 2% (0.6 მლნ) მეგობრებისგან, სამსახურიდან და სხვა წყაროდან.

- თანამდებობის პირებს 16,6 მილიონი ლარის ღირებულის საჩუქარი მიღებული აქვთ ფულადი ფორმით, 9,1 მილიონი ლარის საჩუქარი - უძრავი ქონების სახით, ხოლო დანარჩენი 2,1 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქრები ავტომობილების ან სხვადასხვა ფასიანი ნივთების სახით.

- აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ყველაზე მეტი საჩუქარი მიიღეს ძალოვან უწყებებში დასაქმებულმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებმა.

- აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ძვირადღირებული საჩუქრის მიმღებ პირებს ხშირ შემთხვევაში უკავიათ მაღალი კორუფციული რისკის მქონე თანამდებობები. მაგ: თავდაცვის სამინისტროს ხარისხის კონტროლისა და სამშენებლო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი (საჩუქარად მიიღო 200 ათასი დოლარის ღირებულების უძრავი ქონება მამისგან), შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის მეუღლე (მიიღო 450 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება მშობლისგან) და სხვა.

- პრემიერ-მინისტრი მიღებული საჩუქრების სიდიდით (300 ათასი ლარი) აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებს შორის, მე-18 ადგილს იკავებს.

- მონიტორინგის ფარგლებში თანამდებობის პირების მიერ საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების 15 საეჭვო შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, შსს-ს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბაკური გიორგობიანმა 2022 წელს მეუღლის მამიდისგან ფულადი საჩუქარი მიიღო 24-ჯერ, ჯამში 14,690 აშშ დოლარის და 410 ევროს ოდენობით, მეუღლის მამიდაშვილის შვილისგან 3,250 აშშ დოლარი, მეუღლის მეგობრისგან 6,000 ევრო, მეუღლის დედისგან 8,450 ლარი და 2,000 აშშ დოლარი, მეუღლის სხვა ნათესავისგან 1,000 აშშ დოლარი, ხოლო საკუთარი მეგობრებისგან 12,110 ლარი და 403 აშშ დოლარი.

- თანამდებობის პირების ცალკეული დეკლარაციები, არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, საჩუქრის მიმღებსა და გამცემს შორის კავშირის შესახებ.

შესავალი

საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღება გარკვეულ რისკებს შეიცავს, რაც დაკავშირებულია საჩუქრის სანაცვლოდ საჯარო მოსამსახურისგან სარგებლის მიღებასთან და საჯარო სამსახურის რეპუტაციის შელახვასთან. ასევე, საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს კორუფციულ სქემასთან, რომელიც მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლების დამალვას და მისი ძვირადღირებული საჩუქრის სახით ლეგალიზებას.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული რისკები წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულირების საგანს. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მიხედვით ,,„**საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაზე.“ ასევე, კანონი აწესებს შეზღუდვებს საჯარო მოსამსახურის მიერ მიღებული საჩუქრის ღირებულებაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება 5%-ს. კანონის შეზღუდვები ვრცელდება, საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრებზეც. მაგალითად, ოჯახის თითოეული წევრის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1,000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება 500 ლარს. საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისთვის, რომელიც მიიღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს.**

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი, საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით აწესებს გამონაკლისებს. მათ შორის, **კანონის მიზნებისთვის საჩუქრად არ ითვლება ოჯახის წევრისგან და ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქარი.** კანონის ეს დაშვება წარმოშობს საჯარო მოსამსახურეების მიერ უკანონო შემოსავლების, ოჯახის წევრის ან/და ახლო ნათესავის საჩუქრის სახით ლეგალიზების საფრთხეებს. ბოლო პერიოდში ამ კუთხით, მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მშობლებისგან მიღებულმა სოლიდურმა ფულადმა საჩუქრებმა. მაგალითად, პრემიერ-მინისტრის 2022-2021 წლების დეკლარაციების მიხედვით, მან მშობლებისგან 2 წლის განმავლობაში 300 ათასი ლარის ოდენობის ფულადი საჩუქარი მიიღო. ასევე, მიმდინარე წელს პრემიერ-მინისტრმა კერძო მიზნებისთვის ჩარტერული რეისით იმგზავრა სამთავრობო თვითმფრინავით, ხოლო ამ რეისის ხარჯების დაფინანსების წყაროდ მისი მშობლისგან მიღებული ფინანსური დახმარება დასახელდა. საქართველოს კანონმდებლობა პრემიერ-მინისტრს მშობლებისგან მსგავსი ფულადი საჩუქრების მიღებას არ უზღუდავს, თუმცა კითხვებს აჩენს მშობლების ფინანსების წარმომავლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურეობრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით დამატებით წესებს ადგენს საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილება. მაგალითად, დადგენილების მიხედვით საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე გავლენას არ მოახდენს შიდა წყაროდან ქველმოქმედების მიზნით (ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება და ა,შ,) მიღებული საჩუქარი, სუვენირი ან სხვა სახის სიმბოლური საჩუქარი და სხვა.

თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების გამჭვირვალობა, სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, თანამდებობის პირი ვალდებულია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში, ასახოს მისი და მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, IDFI-მ შეისწავლა 2021-2023 წლებში თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ დეკლარირებული ინფორმაცია. თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციის შევსების წესის მიხედვით, დეკლარაციაში აისახება წინა წელს მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია. **შესაბამისად, კვლევაში გაანალიზებული მონაცემები ფარავს თანამდებობის პირების მიერ 2020-2022 წლებში მიღებული საჩუქრების შესახებ მონაცემებს.** კვლევის ფარგლებში, შესწავლილია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების (საქართველოს მთავრობა, სამინისტროები, სსიპ-ები და სხვა) თანამდებობის პირების ძირითადი ნაწილის დეკლარაციები.

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები

კვლევის ობიექტი თანამდებობის პირების მიერ ბოლო სამ წელში შევსებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2020-2022 წლებში 394-მა თანამდებობის პირმა ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 27,8 მილიონ ლარს. მათ შორის, 2020 წელს მიღებული საჩუქრების ღირებულებაა - 10,1 მილიონი ლარი, 2021 წელს - 9,6 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელს - 8,1 მილიონი ლარი. 2022 წელს, მიღებული საჩუქრების რაოდენობა არ ფარავს ყველა თანამდებობის პირს, ვინაიდან 2022 წლის მონაცემები ასახულია 2023 წლის დეკლარაციებში, ხოლო 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, დეკლარაციები წარდგენილი არ აქვს თანამდებობის პირთა გარკვეულ ნაწილს.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

თანამდებობის პირების მიერ დეკლარირებული ინფორმაციის მიხედვით, 2020-2022 წლებში 18,6 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ უშუალოდ დეკლარანტ თანამდებობის პირებს, ხოლო 9,2 მილიონი ლარის საჩუქარი - მათი ოჯახის რომელიმე წევრს. თანამდებობის პირთა მიერ მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულების ანალიზის დროს, მაქსიმალურად გამოირიცხა ისეთი შემთხვევები როდესაც ორი სხვადასხვა თანამდებობის პირი წარმოადგენს ერთი ოჯახის წევრს, შესაბამისად ერთი კონკრეტული საჩუქარის შესახებ ინფორმაცია აისახება ორი სხვადასხვა თანამდებობის პირის დეკლარაციაში და მათი ხელოვნური დაჯამება გამოიწვევდა თანხების დუბლირებას.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეების, მათ შორის თანამდებობის პირების მიერ მიღებული **საჩუქრების ღირებულებაზე შეზღუდვები არ არის დაწესებული თუ საჩუქრის გამცემს წარმოადგენს ახლო ნათესავი. კანონის მიზნებისთვის ახლო ნათესავებს მიეკუთვნება: ოჯახის წევრები, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ნათესავები (დედა, მამა. ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი), და-ძმა, მშობლის გერი, შვილის გერი.** თანამდებობის პირების მიერ, დეკლარაციებში საჩუქრის გამცემთან კავშირის გრაფაში მითითებული მონაცემების მიხედვით, 2020-2022 წლებში, დეკლარირებული საჩუქრების დიდი ნაწილი (25,1 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქარი) დეკლარანტებს ან მათ ოჯახის წევრებს მიღებული აქვთ კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავებისგან. დანარჩენი საჩუქრებიდან, 2,1 მილიონი ლარის საჩუქარი მიღებული აქვთ ნათესავებისგან, რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად (მაგალითად, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეუღლის ნათესავები და ა.შ.) და შესაბამისად ეს შემთხვევები ხვდებიან საკანონმდებლო შეზღუდვებში. ასევე, 412,9 ათასი ლარის ღირებულების საჩუქარი მიღებული აქვთ მეგობრებისგან, ხოლო 173,4 ათასი ლარის ღირებულების საჩუქრის გამცემად მითითებულია სამსახურეობრივი და სხვა კავშირი.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

2020-2022 წლებში თანამდებობის პირებს და მათ ოჯახის წევრებს 16,6 მილიონი ლარის ღირებულის საჩუქარი მიღებული აქვთ ფულადი ფორმით, 9,1 მილიონი ლარის საჩუქარი - უძრავი ქონების სახით, ხოლო დანარჩენი 2,1 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქრები წარმოადგენს ავტომობილებს ან სხვადასხვა ფასიან ნივთებს.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

ქვემოთ, დეტალურად გაანალიზებულია თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, ანალიზი მოიცავს ყველაზე დიდი ღირებულების მქონე საჩუქრების შესახებ მონაცემებს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ შემთხვევებზე, რომელიც აჩენს ეჭვებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ კანონის მოთხოვნების სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

თანამდებობის პირების მიერ მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები

2020-2022 წლებში აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებს შორის ყველაზე მეტი საჩუქარი მიიღეს ძალოვან უწყებებში დასაქმებულმა თანამდებობის პირებმა და მათმა ოჯახის წევრებმა. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებმა ამ პერიოდში მიიღეს 5.7 მილიონი ლარის ღირებულების საჩუქრები, თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებმა - 4.75 მილიონი ლარის საჩუქრები, ხოლო პროკურატურის თანამდებობის პირებმა - 3.08 მილიონი ლარის საჩუქრები. ძალოვანი უწყებების გარდა, მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულებით ასევე გამორჩეულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირები - 5.12 მილიონი ლარის საჩუქრები.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი, უმეტესწილად განპირობებულია ცალკეული პირების მიერ ახლო ნათესავებისგან მიღებული ძვირადღირებული საჩუქრებით. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხათუნა თოთლაძემ 2020-2021 წლებში ბებიისგან და დედისგან საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 430 ათასი აშშ დოლარი. ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების სამმართველოს უფროსმა ლიანა ლატარიამ 2020-2021 წლებში მშობლებისგან საჩუქრად მიიღო 804,765 ექვივალენტი ლარის ღირებულების საჩუქრები, მათ შორის, 119 ათასი ევროს ღირებულების Porsche 911 CARRERA 4S, საცხოვრებელი ბინა ღირებულებით 100 ათასი აშშ დოლარი და ფულადი თანხა 60 ათასი ლარი.

ყველაზე დიდი ღირებულების საჩუქრების მიმღები თანამდებობის პირების ან/და მათი ოჯახის წევრების უმრავლესობის შემთხვევაში, ძვირადღირებული საჩუქრის გამცემებად მითითებულია

იმ პირთა წრე, ვისზეც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვებს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ დეკლარაციებში ასახული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ იძლევა ძვირადღირებული საჩუქრის გამცემი პირების და მათი ფინანსური შესაძლებლობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ამასთან, ძვირადღირებული საჩუქრის მიმღებ პირებს ხშირ შემთხვევაში უკავიათ მაღალი კორუფციული რისკის მქონე თანამდებობები, რაც წარმოშობს მსგავს შემთხვევებზე დამატებითი მოკვლევის ჩატარების აუცილებლობას. მაგალითად: თავდაცვის სამინისტროს ხარისხის კონტროლისა და სამშენებლო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა 2020 წელს მამისგან საჩუქრად მიიღო 200 ათასი დოლარის ღირებულების უძრავი ქონება, შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის მეუღლემ მშობლისგან საჩუქრად მიიღო 450 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება. გარემოს დაცვის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ თეიმურაზ პაიჭაძემ, მშობელისგან 2020-2022 წლებში საჩუქრად მიიღო 230 ათასი აშშ დოლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები და ფულადი თანხა 5,4 ათასი აშშ დოლარი და 15,5 ათასი ლარი. ხოლო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს ლევან ჯღარკავას მშობელმა 2022 წელს აჩუქა უძრავი ქონების რეალიზებით მიღებული ფულადი თანხა 140 ათასი აშშ დოლარი. გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა დედისგან საჩუქრად მიიღო უძრავი ქონების რეალიზებით მიღებული ფულადი თანხა 110 ათასი აშშ დოლარი, საქართველოს კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა 2020 და 2021 წლებში მშობლისგან თითოეულ წელს საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 50 ათასი აშშ დოლარი.

სოლიდური ფულადი საჩუქრების მიმღებ თანამდებობის პირებს შორის, ვხვდებით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელსაც 2020-2021 წლებში, მშობლებმა თითოეულ წელს აჩუქეს 150 ათასი ლარი (ჯამში 300 ათასი ლარი). დეკლარაციაში მითითებულია რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენს მშობლების დანაზოგს, თუმცა აღნიშნული დანაზოგის წარმომავლობა ბუნდოვანია. პრემიერმინისტრს 2023 წლის დეკლარაცია ჯერ არ აქვს წარდგენილი, შესაბამისად 2022 წელს მის მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია უცნობია. პრემიერმინისტრის მშობლების ფინანსური შესაძლებლობები აღნიშნული საჩუქრებით არ ამოწურულა, ვინაიდან, მიმდინარე წელს პრემიერ-მინისტრის მიერ კერძო მიზნებისთვის განხორციელებული ჩარტერული რეისის დაფინანსების წყაროდ მისი მშობლისგან მიღებული ფინანსური დახმარება დასახელდა.



შენიშვნა: დეკლარანტის მიერ უცხოურ ვალუტაში შეფასებული საჩუქრების ღირებულება კონვერტირებულია ლარში, საჩუქრის მიღების წლის საშუალო კურსის მიხედვით.

აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების მიერ, ერთჯერადად მიღებული ყველაზე ძვირადღირებული საჩუქრები, საჩუქრის სახეების მიხედვით					
ფულადი საჩუქარი					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
ხათუნა თოთლაძე	საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე	დეკლარანტი	200,000 USD	დედა	2021
ანი გაბრიჭიძე	საგარეო საქმეთა სამინისტრო- საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი (ყოფილი)	დეკლარანტი	200,000 USD	დედა	2022
ლევან ჯღარკავა	საქვეუწყებო დაწესებულების- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი	დეკლარანტი	140,000 USD	მშობელი	2022
კონსტანტინე ცაცუა	საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორი	დეკლარანტი	110,000 USD	დედა	2022
ჯაბა შაგულაშვილი	თავდაცვის სამინისტრო - სამმართველოს უფროსი (ყოფილი)	დეკლარანტი	96,800 USD	მშობელი	2022
უძრავი ქონება					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
პაატა იმნაძე	დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილე	მეუღლე	ბინა, 700,000 GEL	და-ძმა	2020
დავით ჭიჭინაძე	თავდაცვის სამინისტრო დეპარტამენტის უფროსი	დეკლარანტი	უძრავი ქონება, 200,000 USD	მამა	2020
თეიმურაზ პაიჭაძე	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 130,000 USD	მშობელი	2021

ლიანა ლატარია	საგარეო საქმეთა სამინისტრო,სამმართველოს უფროსი	დეკლარანტი	საცხოვრებელი ბინა, 100,000 USD	მშობელი	2021
ირაკლი ნაკანი	თავდაცვის სამინისტრო სამმართველოს უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	მიწის ნაკვეთი, 100,000 USD	დედმამიშვილი	2022
ავტომობილები და სხვა ნივთები					
თანამდებობის პირი	**თანამდებობა**	**საჩუქრის მიმღები**	**საჩუქარი**	**საჩუქრის გამცემი**	**წელი**
ლიანა ლატარია	საგარეო საქმეთა სამინისტრო,სამმართველოს უფროსი	დეკლარანტი	Porsche 911 CARRERA 4S გამოშვების წელი 2020, 119,000 EUR	მშობელი	2020
თამარ გვენეტაძე	თავდაცვის სამინისტრო სამმართველოს უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	მერაბ აბრამიშვილის ფერწერული ტილო, 40,000 USD	დედა	2020
სანდრო ცაბუტაშვილი	შსს - სამმართველოს უფროსი (ყოფილი)	დეკლარანტი	ავტომანქანა მერსედესი E200 , 37500 USD	დედმამიშვილი	2021
ნინო მინდიაშვილი	იუსტიციის სამინისტრო - დეპარტამენტის უფროსი	დეკლარანტი	ავტომობილი, 35000 USD	მამა	2020
ნიკა გელაშვილი	სსიპ- „112“-ის დირექტორის მოადგილე (ყოფილი)	დეკლარანტი	ავტომობილი, 25000 USD	დედა	2021

მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების მიერ შევსებული დეკლარაციების მიხედვით, ხშირია შემთხვევები როდესაც დეკლარანტ თანამდებობის პირზე ან/და მის ოჯახის წევრზე საჩუქარი გაცემულია მეგობრებისგან ან ისეთი ნათესაური კავშირის მქონე პირისგან რომელსაც კანონმდებლობა არ მოიაზრებს ახლო ნათესავად (მაგალითად, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეუღლის ნათესავები და ა.შ.) და შესაბამისად არ არის განთავისუფლებული საკანონმდებლო შეზღუდვებისგან. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა თითოეული მსგავსი შემთხვევა. თანამდებობის პირების მიერ საჩუქრის კანონის დარღვევით მიღების საეჭვო შემთხვევად, მიჩნეული იქნა ისეთი საჩუქრები, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს:

- საჩუქარი მიღებული არ არის ახლო ნათესავისგან ან დეკლარაციაში ასახული ცნობა არ იძლევა საჩუქრის გამცემთან კავშირის დადგენის შესაძლებლობას.
- მიღებული საჩუქრის ღირებულება აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.
- საჩუქრის მიღების პერიოდში, თანამდებობის პირი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.
- დეკლარაციაში არ არის მითითებული, მიღებული საჩუქრის შესახებ ისეთი განმარტება რომელიც დაადასტურებდა მის კანონიერებას.

კვლევის ფარგლებში, დეკლარაციებში მითითებული მონაცემების საფუძველზე IDFI-ს მიერ იდენტიფიცირებული იქნა თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების მიერ საჩუქრის კანონის დარღვევით მიღების 15 საეჭვო შემთხვევა, საიდანაც 10 შემთხვევაში საჩუქრის მიმღებს წარმოადგენდა დეკლარანტი თანამდებობის პირი, ხოლო 5 შემთხვევაში - თანამდებობის პირის ოჯახის წევრი. კანონის დარღვევით საჩუქრის მიღების საეჭვო შემთხვევებს შორის ჭარბობენ ძალოვანი უწყებების თანამდებობის პირები. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს 7, ხოლო თავდაცვის სამინისტროს 5 თანამდებობის პირის მიერ მიღებული საჩუქარი, კანონთან შესაბამისობის კუთხით მიჩნეულია საეჭვოდ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებიდან, რომელთა საჩუქრების კანონიერება მიჩნეულია საეჭვოდ, უმრავლესობა დეკლარაციის შევსების მომენტში იკავებდა სხვადასხვა სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას. მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის X სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბაკური გიორგობიანმა 2022 წელს მეუღლის მამიდისგან ფულადი საჩუქარი მიიღო 24-ჯერ ჯამში 14,690 აშშ დოლარის და 410 ევროს ოდენობით, მეუღლის მამიდაშვილის შვილისგან 3,250 აშშ დოლარი, მეუღლის მეგობრისგან 6,000 ევრო, მეუღლის დედისგან 8,450 ლარი და 2,000 აშშ დოლარი, მეუღლის სხვა ნათესავისგან 1,000 აშშ დოლარი, ხოლო საკუთარი მეგობრებისგან 12,110 ლარი და 403 აშშ დოლარი. დეკლარაციის მიხედვით, 2022 წელს ბაკურ გიორგობიანი არ იყო დასაქმებული აღნიშნულ თანამდებობაზე, თუმცა სრული წლის განმავლობაში იკავებდა უფროსი გამომძიებლის პოზიციას. შესაბამისად, წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და ამ მდგომარეობითაც მასზე ვრცელდებოდა კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები.

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 350 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 220 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 570 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 500 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 180 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 350 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 350 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 200 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 4980 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 530 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 200 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 530 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 200 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 350 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 425 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 530 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1000 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 630 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1020 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 230 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 530 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 215 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 410 EUR	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 600 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 2040 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდაშვილის შვილი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1210 USD	ნათესავი-მეუღლის მამიდაშვილის შვილი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 3000 EUR	მეუღლის მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 3000 EUR	მეუღლის მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1000 USD	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1500 GEL	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 2000 GEL	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1150 GEL	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 830 GEL	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 2400 GEL	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 570 GEL	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 500 USD	მეუღლის დედა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 500 USD	მეუღლის დედა
ნინო ვადაჭკორია	ფულადი თანხა, 300 USD	მამიდა

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი
ნინო ვადაჭკორია	ფულადი თანხა, 200 USD	მამიდა
ნინო ვადაჭკორია	ფულადი თანხა, 1112 GEL	ბებია
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 520 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 203 USD	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 200 USD	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 700 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 540 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 2000 GEL	ძმა
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 1000 USD	ნათესავი-მეუღლის
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება	გამცემის მიმღებთან კავშირი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 550 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 700 GEL	მეგობარი
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 500 GEL	მეგობარი-მეუვარე
ბაკური გიორგობიანი	ფულადი თანხა, 2550 GEL	მეგობარი
ნინო ვადაჭკორია	ფულადი თანხა, 1000 GEL	მეუღლისგან
ნინო ვადაჭკორია	ფულადი თანხა, 1500 GEL	მეუღლისგან
ნინო ვადაჭკორია	ფულადი თანხა, 720 GEL	მეუღლისგან

წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3 000 ლარს ან გასავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს და არ არის მითითებული დეკლარაციის სხვა ფურცლებზე.

შემოსავლის/გასავლის მიმღები/გამცემი პირის ვინაობა (სახელი გვარი)	შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა	შემოსავლის ან/და გასავლის ოდენობა (ღირებულება)	შენიშვნა
ნინო ვადაჭკორია	სწავლის საფასური	გასავალი, 260000 RUB	გადახდილია რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვში "რუსეთის ხალხთა მეგობრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი"

ამონარიდები, გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის X სამმართველოს უფროსის მოადგილის ბაკურ გირგობიანის დეკლარაციიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს II სამმართველოს უფროსის მოადგილეს ლაშა ტუხაშვილს დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ მეგობრისგან საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 7,2 ათასი აშშ დოლარი. დეკლარაციის მიხედვით, 2022 წელს ის არ იყო დასაქმებული აღნიშნულ თანამდებობაზე, თუმცა სრული წლის განმავლობაში ასევე იკავებდა უფროსი გამომძიებლის პოზიციას.

განსხვავებული შემთხვევაა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის მიხეილ მანეშვილის დეკლარაცია, სადაც მიღებული საჩუქრის გრაფაში აღნიშნულია, რომ 2021 წლის 9 ივლისს მეგობრის ავტომობილი დროებით გადმოფორმდა მის სახელზე რომელიც 2022 წლის 5 თებერვალს გადაუფორმა უკან.

ძალოვანი უწყებების თანამდებობის პირების გარდა, საეჭვო შემთხვევებში ასევე ვხვდებით სხვა უწყებების წარმომადგენლებსაც. მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსმა ზაზა მარუაშვილმა მეგობრისგან საჩუქრად მიიღო ფულადი თანხა 50 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

თანამდებობის პირების ცალკეულ დეკლარაციებში, მითითებული ცნობა არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, საჩუქრის მიმღებსა და გამცემს შორის კავშირის შესახებ. მაგალითად, ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორს ნათია ქართველიშვილს დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ საჩუქრად ფულადი თანხა, 27,500 აშშ დოლარი, მიიღო ნათესავისგან. თუმცა არ არის დაკონკრეტებული ეს კავშირი რამდენად მიეკუთვნება კანონით განსაზღვრული ახლო ნათესავების წრეს.

აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები					
სახელი, გვარი	თანამდებობა	საჩუქრის მიმღები	საჩუქარი	კავშირი საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის	წელი
ბაკური გიორგობიანი	შსს - სამმართველოს უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 14,690 USD; 410 EUR	მეუღლის მამიდა	2022
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 3,250 USD;	მეუღლის მამიდაშვილის შვილი	2022
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 6,000 EUR ;	მეუღლის მეგობარი	2022

		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 2,000 USD; 8,450 GEL	მეუღლის დედა	2022
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 1,000 USD;	მეუღლის ნათესავი	2022
		დეკლარანტი	ფულადი თანხა, 12,110 GEL; 403USD;	მეგობარი	2022
ლაშა ტუხაშვილი	შსს - სამმართველოს უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 7200 USD	მეგობარი	2022
ლერი ხუციშვილი	შსს - სამმართველოს უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 10350 GEL; 1750 USD	მეგობარი	2022
მიხეილ მანელიშვილი	შსს - ქობულეთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე	დეკლარანტი	ავტომობილი, 4000 USD	მეგობარი	2021
ლევან კოპალიანი	შსს - სამმართველოს უფროსი	დეკლარანტი	1767.62 USD	ბიძაშვილი	2022
		მეუღლე	1883.4 USD	მეუღლის ბიძაშვილი	2022
ოლღა მირიანაშვილი	თავდაცვის სამინისტრო; სამმართველოს უფროსი	დეკლარანტი	ფულადი 5,000 USD	ნათესავი	2021
თეა ნიკოლაშვილი	სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობლის სკოლის დირექტორი	დეკლარანტი	საცხოვრებელი ბინა 50,000 USD	რძალი	2020
ზაზა მარუაშვილი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი	დეკლარანტი	თანხა, 50000 USD	მეგობარი	2020
გიორგი თინაძე	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს	დეკლარანტი	ფულადი, 15000 USD	ბიძა	2020

	დირექტორის მოადგილე (ყოფილი)				
ნათია ქართველიშვილი	ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი	დეკლარანტი	ფულადი თანხა, 27500 USD	ნათესავი	2022

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **თუ საჯარო მოსამსახურე იღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს,** ამისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლით. თუმცა, პასუხისმგებლობის ზომის გარეშე რჩება თანამდებობის პირების ოჯახის წევრების მიერ კანონით აკრძალული საჩუქრების მიღების შემთხვევები, რაც შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც კანონმდებლობის გარკვეული ხარვეზი. მაგალითად, **თუ კანონით აკრძალულ საჩუქარს იღებს საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრი, ასეთ შემთხვევაში;**

- იგი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს ინფორმაცია და საჩუქარი გადასცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.
- თუ არ ასრულებს ამ ვალდებულებას 3 დღის ვადაში, ის დაარღვევს კანონს, თუმცა კანონის დარღვევისთვის ოჯახის წევრს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არც სისხლის და არც ადმინისტრაციული წესით. **ბიურო ვერ ცნობს ოჯახის წევრს სამართალდამრღვევად**.
- თუ ოჯახის წევრი იღებს კანონით აკრძალულ საჩუქარს და ეს დეკლარაციაში არ წერია ან/და არასრულყოფილად წერია, **ამისთვის მხოლოდ საჯარო მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;**
- თუ ოჯახის წევრი იღებს აკრძალულ საჩუქარს და დეკლარაცია სწორადაა შევსებული, არც საჯარო მოსამსახურე და არც ოჯახის წევრი არ დაისჯებიან არც სისხლის და არც ადმინისტრაციული წესით.

შესაბამისად, ქვემოთ განხილული შემთხვევები შესაძლებელია შეფასდეს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევად, რისი დადასტურების შემთხვევაშიც რაიმე პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება არ არის გათვალისწინებული.

მაგალითად, თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოადგილის მეუღლემ, 2022 წელს დეიდაშვილისგან საჩუქრად მიიღო ბინა ღირებულებით 60 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მეგობრებისგან 2022 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ფულადი თანხა 5,493 აშშ დოლარი.

აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების ოჯახის წევრების მიერ საჩუქრის სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების საეჭვო შემთხვევებს შორის განხილულია, თავდაცვის მინისტრის მეუღლის მიერ დედამთილისგან საჩუქრად მიღებული ფულადი თანხა 30 ათასი აშშ დოლარი. კორუფციის წინააღდეგ ბრძოლის შესახებ კანონში, ბუნდოვანია ჩანაწერი რომელიც დეკლარანტს და მისი ოჯახის წევრს შესაძლებლობას აძლევს ახლო ნათესავისგან მიიღოს საჩუქარი შეზღუდვების გარეშე. კერძოდ, არსებული ჩანაწერი არ იძლევა მკაფიო განმარტებას საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრს ეძლევა თუ არა შესაძლებლობა საჩუქარი

მიიღოს შეუზღუდავად როგორც საკუთარი ახლო ნათესავისგან ასევე საჯარო მოსამსახურის ახლო ნათესავისგან. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად თავდაცვის მინისტრის ოჯახმა, ძვირადღირებული საჩუქარი მიიღო მინისტრის მშობლისგან, დეკლარაციაში საჩუქრის მიმღებსა და საჩუქრის გამცემს შორის მითითებული კავშირი (მეუღლის დედა) კანონმდებლობის მიხედვით არ ითვლება ახლო ნათესაობად. შესაბამისად, აღნიშნული საჩუქარი შესაძლებელია მიჩნეულ იქნას კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევად. მსგავსი შემთხვევაა, თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილის ლევან გუგენიშვილის შემთხვევაშიც, რომლის მეუღლემ 2020 წელს დედამთილისაგან საჩუქრად მიიღო 95,500 აშშ დოლარი, ბინების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების ოჯახის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების კანონთან შესაბამისობის საეჭვო შემთხვევები					
სახელი, გვარი	თანამდებობა	საჩუქრის მიმღები	საჩუქარი	კავშირი საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის	წელი
გიორგი ჯოხაძე	თავდაცვის სამინისტრო; რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოადგილე	მეუღლე	ფულადი, 5,493 USD	მეგობარი	2022
			ბინა, 60,000 USD	დეიდაშვილი	2022
ჯუანშერ ბურჭულაძე	თავდაცვის მინისტრი	მეუღლე	თანხა, 30,000 USD	მეუღლის დედა	2022
ლევან გუგენიშვილი	თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილე	მეუღლე	ფულადი თანხა 95,500 USD	დედამთილი	2020
კახაბერი რაზმაძე	შსს - სამმართველოს უფროსის მოადგილე	მეუღლე	ფულადი თანხა, 9600 GEL	ნათესავი	2022
ირაკლი გულდედავა	შსს - მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	მეუღლე	ფულადი თანხა, 3995 USD	ნათესავი-ბიძაშვილი	2022

დასკვნა

თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ 2020-2022 წლებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირები იღებდნენ სოლიდური ღირებულების საჩუქრებს. კვლევაში მოყვანილი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია საჩუქრის მიმღები თანამდებობის პირის და საჩუქრის გამცემი პირის კავშირებთან, საჩუქრისთვის საჭირო ფინანსების ბუნდოვან წარმომავლობასთან და სხვა, ეჭვებს აჩენს მთელი რიგი შემთხვევების კანონიერებასთან დაკავშირებით.

საჯარო სამსახურში საჩუქრის პოლიტიკის მოწესრიგების და აღსრულების კუთხით, მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის არასრულფასოვანი რეგულაციები და ბუნდოვანი ჩანაწერები. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა ზღუდავს საჯარო მოსამსახურეების ოჯახის წევრების მიერ გარკვეული საჩუქრების მიღებას, თუმცა ამ ნორმის დარღვევისთვის, შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები არ არის დადგენილი. ასევე, ცალკეული შემთხვევების კანონიერების დადგენას მნიშვნელოვნად ართულებს თანამდებობის პირების მიერ არასრულყოფილად შევსებული დეკლარაციები, რომელიც არ იძლევა საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის არსებული ზუსტი კავშირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

IDFI მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში თანამდებობის პირების მიერ საჩუქრების მიღების მასშტაბი, წარმოშობს საჯარო მოსამსახურეებზე საჩუქრის გაცემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვების მონიტორინგის და მისი აღსრულების ეფექტურობის ზრდის აუცილებლობას. ამასთან, კვლევაში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს მნიშნელოვან საფუძველს არაერთი თანამდებობის პირის მიერ მიღებული საჩუქრის კანონიერების დასადგენად, დამატებითი მოკვლევის ჩასატარებლად.

IDFI მოუწოდებს:

- ანტიკორუფციულმა ბიურომ, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ფარგლებში უზრუნველყოს თანამდებობის პირების მიერ საჩუქრის მიღების თითოეული საეჭვო შემთხვევის შესწავლა.

- საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც უზრულველყოფს საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრების მიერ საჩუქრის მიღების წესების მკაფიო რეგულირებას და ამ წესების აღსრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების არსებობას.

- დეკლარაციების მონიტორინგის ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნას ყველა იმ თანამდებობის პირის დეკლარაციის დაზუსტება, რომელიც არ იძლევა საჩუქრის გამცემსა და მიმღებს შორის ზუსტი კავშირის და ვინაობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ასევე, დეკლარაციის შევსების წესში, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც თანამდებობის პირებს დაავალდებულებს დეკლარაციაში საჩუქრის მიღების ზუსტი თარიღის მითითებას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;

+995 32 2 92 15 14

Info@idfi.ge

www.idfi.ge